

**კულტურის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის 2019 წლის
I კვარტლის ანგარიში**

სტრატეგიული მიმართულება 1 კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ქალაქის თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა

პროგრამა 1.1 მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

პროგრამის მიზანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, ქალაქის ისტორიული იერსახის შენარჩუნება და პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი ფიზიკური განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა; მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით ხელი შეეწყობა საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობას.

ღონისძიებები: შესრულების ინდიკატორი შესრულება

სარეაბილიტაციო - სარესტავრაციო სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა ✓

სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა ✓

ღონისძიება 1

სარეაბილიტაციო - სარესტავრაციო სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება

2019 წლის I კვარტალში

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში განხორციელდა - ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია , კერძოდ: შეიღესა 65 კვ.მ. კედელი და შეკეთდა 15 კვ.მ. ჭერი.

ასევე გამოცხადდა ტენდერი ქ.ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N35-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაციისათვის - რომლის შერჩევა/შეფასების ეტაპზეა.

ღონისძიება 2

სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა

2019 წლის I კვარტალში

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში განხორციელდა ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) - სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა.

პროგრამა 1.2. ეროვნული ფოლკლორის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.

პროგრამის მიზანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, მისი სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისთვის საჭირო ქმედებების განხორციელება,

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი შენარჩუნებულია ქართული ფოლკლორი, ქორეოგრაფიული ხელოვნება, ეროვნული ტრადიციები, გატარებულია საჭირო ქმედებები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით საგანმანათლებლო-

ღონისძიებები: შესრულების ინდიკატორი შესრულება

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება/მხარდაჭერა	ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა	✓
შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლების დაფინანსება	საზღვარგარეთ გამართული ღონისძიებების რაოდენობა	✓
შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სასცენო ინვენტარის, კოსტიუმებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენით	შემენილი სასცენო ინვენტარის, კოსტიუმებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება/მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში დაიდგა ახალი საკონცერტო პროგრამები, რომლებიც გათვლილია, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი მაყურებლის გემოვნებაზე.

ორგანიზება გაეწია შემდეგ კულტურულ ღონისძიებებს:

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში ევროპის მოედანზე ყოველდღიურად ტარდებოდა კონცერტები კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში მოწვეული იქნა მრავალშვილიანი დედები და მათთვის ბათუმის საზაფხულო თეატრში გაიმართა კონცერტი ცენტრის ფოლკლორული კოლექტივების მონაწილეობით.

ღონისძიება 2

შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლების დაფინანსება

2019 წლის I კვარტალში

შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლები დაგეგმილია მომდევნო კვარტალებში, თუმცა მანამდე პირველ კვარტალში განხორციელდა სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა, კერძოდ, ავიაბილეთების დაჯავშნა და შესყიდვა.

ღონისძიება 3

შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სასცენო ინვენტარის, კოსტიუმებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენით

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის პარიკების შესყიდვა.

აგრეთვე სასცენო კოსტიუმების განახლებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომლითაც

გათვალისწინებულია ვაჟთა ვოკალური ანსამბლისთვის სასცენო კოსტიუმებისა და ქორეოგრაფიული

ანსამბლისათვის აქსესუარების - სარტყელისა და ყაბალახის, შესყიდვა. საქონლის მოწოდების ბოლო ვადა 2019 წლის 30 აპრილია.

სტრატეგიული მიმართულება 2

შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება

პროგრამა 2.1.

ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

ქართული ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივება, ხელოვანთა შემოქმედებისა და ღვაწლის გაცნობა, წიგნიერების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა და განვითარება, ბათუმის, როგორც ლიტერატურული ხელოვნებით მდიდარი და მრავალფეროვანი ქალაქის ცნობადობის გაზრდა და პოპულარიზება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

გამრავალფეროვნებულია ქალაქის ლიტერატურული ცხოვრება, გაზრდილია სიტყვაკაზმული მწერლობისა და წიგნიერების პოპულარიზაცია. ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების ზრდა.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

✓

კითხვის უნარ-ჩვევებისა და წიგნიერების განვითარებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

ჩატარებული პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობა; ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

✓

ღონისძიება 1

ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2019 წლის I კვარტალში

ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობდა სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, კერძოდ, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, მოეწყო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტისა და 2019 წლის მუნიციპალური პროგრამების პრეზენტაცია - განხილვა. პოლიტიკის დოკუმენტი შენიშვნებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით დაეგზავნა სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა საელჩოებთან და მოქმედ ფონდებთან.

ღონისძიება 2

კითხვის უნარ-ჩვევებისა და წიგნიერების განვითარებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

ლიტერატურული ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ დაგეგმა შემდეგი აქტივობები: ხელოვნების მასტერკლასები საჯარო სკოლის მოსწავლეებთან; ახალი ტექნოლოგიების გამოყენები აბიტურიენტებისათვის; ღია კარის დღეები და წიგნების განხილვები უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის, კითხვის საათები ყველა ასაკის მოსწავლეებისათვის, ვიქტორინები, შემეცნებითი დისკუსიები, ფილმების ჩვენებები და ვიდეო და საჯარო ლექციები ყველა ასაკის მკითხველისათვის.

ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში დაფინანსდა პროექტი „ლექსების გამოყენა/ასი სიტყვა“. პროექტის განხორციელების პერიოდია 27 მარტი - 20 მაისი. პროექტის ფარგლებშიც დაგეგმილია ლიტერატურული კონკურსის ორგანიზება. პროექტის ავტორია - ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი; ბიუჯეტი - 5750 ლარი.

პროგრამა 2.2. სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის განვითარება და პოპულარიზაცია, ახალგაზრდა თაობის სამუსიკო ხელოვნებაში ჩართულობის ხელშეწყობა, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და ცნობადობის გაზრდა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი განვითარებული და პოპულარიზებულია სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრი, ხელშეწყობილია ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა და განვითარება.

ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა		✓
მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	ჩატარებული პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობა; ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;	✓
საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში და სხვ. ბათუმელ შემსრულებელთა მონაწილეობის მხარდაჭერა	საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა	✓

ღონისძიება 1

მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2019 წლის I კვარტალში

მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობდა სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ბათუმში მოქმედ სამუსიკო სკოლების, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის მუსიკალური ცენტრის წარმომადგენლებთან, მოეწყო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტისა და 2019 წლის მუნიციპალური პროგრამების პრეზენტაცია - განხილვა. პოლიტიკის დოკუმენტი, შენიშვნებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით, დაეგზავნა სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;
- სახელოვნებო დაწესებულებათა რეესტრის შექმნის მიზნით, გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მუსიკის მიმართულებით მოქმედი დაწესებულება/ორგანიზაციებიდან;
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოსთან თანამშრომლობით დაიგეგმა სატელევიზიო გადაცემა, სადაც განხილული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს - მუსიკალური ხელოვნების განვითარება.

ღონისძიება 2

მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, დაფინანსდა პროექტი „კოლაბორაცია 2“. რომელიც განხორციელდება ა/წლის 28 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით. პროექტის მიზანია ახალგაზრდა სტუდენტ-შემსრულებლების გაერთიანება და ექსპერიმენტული საშემსრულებლო ჯგუფის შექმნა. ჯგუფი მოამზადებს სხვადასხვა ჟანრის რეპერტუარს. გაიმართება პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა მონაწილეებს გადაეცემა სერთიფიკატები.

ავტორი - ა(ა)იპ არტ-ალტერნატივა; ბიუჯეტი - 5950 ლარი;

ღონისძიება 3

საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში და სხვ. ბათუმელ შემსრულებელთა მონაწილეობის მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილე პირთა დაფინანსების მიზნით, დამტკიცდა დებულება, რომელიც განსაზღვრავს კონკურსის წესსა და პირობებს, შეიქმნა კომისია და გამოცხადდა კონკურსი.

პროგრამა 2.3

აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

განვითარება და პოპულარიზაცია, აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანების პროფესიულ ზრდა, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ახალგაზრდა თაობის კულტურულ პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

განვითარებული და პოპულარიზებულია აუდიოვიზუალური ხელოვნება, ამალღებულია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანების პროფესიული უნარები, გამრავალფეროვნებულია ქალაქის კულტურული ცხოვრება, ახალგაზრდა თაობა ჩართულია ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

აუდიოვიზუალური
ხელოვნების განვითარების
ხელშეწყობის მიზნით,
სხვადასხვა
დაწესებულებებთან/ორგანი
ზაციე ბთან თანამშრომლობა

✓

აუდიოვიზუალური ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში
ხელოვნების განვითარების, მონაწილეთა რაოდენობა
კინოსა და
ფოტოხელოვნების
პოპულარიზაციის მიზნით,
პროექტებისა და
ღონისძიებების მხარდაჭერა

✓

ღონისძიება 1

აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა
დაწესებულებებთან/ორგანიზაციე ბთან თანამშრომლობა

2019 წლის I კვარტალში

აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, ქ. ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ბათუმში აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართულებით მოქმედ
ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მოეწყო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტისა და 2019 წლის
მუნიციპალური პროგრამების პრეზენტაცია - განხილვა. პოლიტიკის დოკუმენტი, შენიშვნებისა და მოსაზრებების
გაზიარების მიზნით, დაეგზავნა ამ ორგანიზაციებს;

- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოსთან თანამშრომლობით დაიგეგმა
სატელევიზიო გადაცემა, სადაც განხილული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების
პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს - აუდიოვიზუალური
ხელოვნების განვითარება.

ღონისძიება 2

აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების, კინოსა და ფოტოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით,
პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების, კინოსა და ფოტოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, ქ.
ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით დაფინანსდა პროექტი „დრო ძვირფასია“.

პროექტის ფარგლებში, აუდიო და ვიდეო ფაილებში ჩაიწერება 10 ქართველი მწერლის ან პოეტის, ლექსი ან
ნაწყვეტი ნაწარმოებიდან, ასევე, ამ ან სხვა რომელიმე ნაწარმოებების განხილვა და საინტერესო ფაქტები ამ
ავტორების ცხოვრებიდან. სულ დამზადდება 30 აუდიო და ვიდეო ფაილი.

ავტორი - შპს „საჯარო და კერძო ადმინისტრირების კვლევის და მონიტორინგის ცენტრი“. პროექტის
განხორციელების პერიოდი - 1 აპრილი -1 აგვისტო. პროექტის ბიუჯეტი - 4932 ლარი.

პროგრამა 2.4.

სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

სახვითი ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სახვითი ხელოვნების სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

განვითარებული და პოპულარიზებულია სახვითი ხელოვნება, გამრავალფეროვნებულია ქალაქის კულტურული ცხოვრება, განვითარებულია ბათუმელ ხელოვანთა პროფესიული უნარჩვევები, ხელშეწყობილია სახვითი ხელოვნების სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტები.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

✓

სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

ჩატარებული გამოფენების, პლენერების, კონკურსების, ფესტივალების რაოდენობა; გამოფენებში, პლენერებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილე პირთა რაოდენობა. ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

✓

საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა

საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. მონაწილე ბათუმელ ხელოვანთა რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობდა სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ბათუმში მოქმედ სამხატვრო სკოლისა და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, მოეწყო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტისა და 2019 წლის მუნიციპალური პროგრამების პრეზენტაცია - განხილვა. პოლიტიკის დოკუმენტი, შენიშვნებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით, დაეგზავნა სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;
- სახელოვნებო დაწესებულებათა რეესტრის შექმნის მიზნით, გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია სახვითი ხელოვნების მიმართულებით მოქმედი ორგანიზაციებიდან;
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოსთან თანამშრომლობით დაიგეგმა სატელევიზიო გადაცემა, სადაც განხილული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად ითვალისწინებს სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას.

ღონისძიება 2

სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერის ფარგლებში, დამტკიცდა დებულება, რომელიც განსაზღვრავს კონკურსის წესსა და პირობებს, შეიქმნა კომისია და გამოცხადდა კონკურსი.

ღონისძიება 3

საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით, დამტკიცდა დებულება, შეიქმნა კომისია და გამოცხადდა კონკურსი.

სულ, ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 4 მხატვარი, კერძოდ: მაია ჭყონია, ქეთევან ვაჩეიშვილი, დიანა თალაკვაძე და ირინა ტორონჯაძე. ისინი მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაში, რომელიც დაგეგმილია ივლისის თვეში ქ. პარიზში. ბათუმელ ხელოვანთა ნამუშევრებთან ერთად გალერეაში გამოფენილი იქნება სხვადასხვა ქვეყნის მხატვრების ტილოები.

პროგრამა 2.5.

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ახალგაზრდა, ნიჭიერ ხელოვანთა გამოვლენა და მათი რაელიზების ხელშეწყობა, შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეების მხარდაჭერა, თეატრალური ხელოვნების სფეროში კრეატიული პროექტების განხორციელება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

განვითარებული და პოპულარიზებულია თეატრალური ხელოვნება, გამრავალფეროვნებულია ქალაქის კულტურული ცხოვრება, ხელშეწყობილია ახალგაზრდა, ნიჭიერ ხელოვანთა გამოვლენა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელება.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

თეატრალური ხელოვნების
განვითარების ხელშეწყობის
მიზნით, სხვადასხვა
დაწესებულებებთან/
ორგანიზაციებთან
თანამშრომლობა

✓

თეატრალური ხელოვნების
განვითარებისა და
პოპულარიზაციის მიზნით,
პროექტებისა და
ღონისძიებების მხარდაჭერა

ჩატარებული თეატრალური წარმოდგენების,
ფესტივალების, კონკურსების და ა.შ.
რაოდენობა;
თეატრალური წარმოდგენებზე,
ფესტივალებზე, კონკურსებზე და ა.შ. დამსწრე
პირთა რაოდენობა
ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში
მონაწილეთა რაოდენობა;

✓

საერთაშორისო
ღონისძიებებში, მათ შორის,
ფესტივალებში,
კონკურსებში,
კონფერენციებში და სხვ.
თეატრალური
დასის/ბათუმელი
ხელოვანის მონაწილეობის
მხარდაჭერა

გასტროლების რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/
ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2019 წლის I კვარტალში

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, ქ. ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობდა სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, კერძოდ:
- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ბათუმში მოქმედი თეატრალური დაწესებულებებისა და ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, მოეწყო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტისა და 2019 წლის
მუნიციპალური პროგრამების პრეზენტაცია - განხილვა. პოლიტიკის დოკუმენტი, შენიშვნებისა და მოსაზრებების
გაზიარების მიზნით, დაეგზავნა ამ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;
- სახელოვნებო დაწესებულებათა რეესტრის შექმნის მიზნით, გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია თეატრალური
ხელოვნების მიმართულებით მოქმედი დაწესებულებებიდან/ორგანიზაციებიდან;
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოსთან თანამშრომლობით დაიგეგმა
სატელევიზიო გადაცემა, სადაც განხილული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების
პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად ითვალისწინებს თეატრალური
ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას.

ღონისძიება 2

თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების
მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მხარდაჭერილი იქნა 2 ღონისძიება, კერძოდ: დაფინანსდა პროექტი „გვიანი შემოდგომის ღამე“, პროექტის ფარგლებში, 1 მარტს, დაიდგა პიესა „გვიანი შემოდგომის ღამე“. რომლის ავტორია - ა(ა)იპ „თავისუფალი სივრცე“;

აგრეთვე, დაფინანსდა პროექტი „თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო“. პროექტის ფარგლებში, 28 მარტს, ჩატარდა თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, დაჯილდოვდნენ ხელოვანები. პროექტის ავტორია - ა(ა)იპ „აჭარის თეატრალური საზოგადოება“.

ღონისძიება 3

საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. თეატრალური დასის/ბათუმელი ხელოვანის მონაწილეობის მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. თეატრალური დასის/ბათუმელი ხელოვანის მონაწილეობის მხარდაჭერა მიზნით, დამტკიცდა დებულება, რომელიც განსაზღვრავს კონკურსის წესსა და პირობებს, შეიქმნა კომისია და გამოცხადდა კონკურსი.

პროგრამა 2.6. შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი	შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროზე	
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ვითარდება შემოქმედებითი ინდუსტრიები, გაზრდილია სფეროს ცნობადობა და საგანმანათლებლო დონე	
ღონისძიებები:	შესრულების ინდიკატორი	შესრულება
სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის სწავლის/სწავლების სტიმულირება	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით სტიმულირებულ სტუდენტთა რაოდენობა	

ღონისძიება 1

სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის სწავლის/სწავლების სტიმულირება

2019 წლის I კვარტალში

სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის სწავლის სტიმულირების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ქვეპროგრამას „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“. ქვეპროგრამის ფარგლებში ლუკა ასათიანის სტიპენდია გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე (მათ შორის კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით) ჩარიცხულ იმ საუკეთესო შედეგების მქონე 50 სტუდენტზე, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად. ქვეპროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა მიმდინარე წლის 4-დან 29 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 114 სტუდენტის განაცხადი. მათ შორის კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით ჩარიცხულ სტუდენტებს განაცხადები არ წარმოუდგენიათ.

სტრატეგიული მიმართულება 3 კულტურის მუნიციპალური ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება

პროგრამა 3.1. მუნიციპალური ბიბლიოთეკის განვითარება

პროგრამის მიზანი მუნიციპალური ბიბლიოთეკის განვითარება, ბიბლიოთეკაში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და ბიბლიოთეკაში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი განვითარებულია მუნიციპალური ბიბლიოთეკა, გააქტიურებულია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა და გაუმჯობესებულია განხორციელებულ პროექტთა ხარისხი.

ღონისძიებები: შესრულების ინდიკატორი შესრულება

ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ განვითარების გეგმის შემუშავება ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ განვითარების გეგმა ✓

ბიბლიოთეკებში ფონდების გამდიდრების, მომსახურებათა დახვეწის, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების მხარდაჭერა საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობა, ბეჭდური გამოცემებით სარგებლობის რაოდენობა; ელექტრონული რესურსებით სარგებლობის რაოდენობა; საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგის რაოდენობა; საბიბლიოთეკო ფონდის წიგნების და ფოტოების გაციფრების რაოდენობა ✓

არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით

საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგის რაოდენობა; საბიბლიოთეკო ფონდის წიგნების და ფოტოების გაციფრების რაოდენობა



ღონისძიება 1

ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ განვითარების გეგმის შემუშავება

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ“ შეიმუშავა განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმას.

ღონისძიება 2

ბიბლიოთეკებში ფონდების გამდიდრების, მომსახურებათა დახვეწის, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობა გაიზარდა 1875 ერთეულით, ბეჭდური გამოცემებით სარგებლობის რაოდენობა 86 032 ერთეულით; ელექტრონული რესურსებით სარგებლობის რაოდენობა გაიზარდა 6 234; საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგის რაოდენობა გაიზარდა 19 515 ერთეულით საბიბლიოთეკო ფონდის წიგნების და ფოტოების გაციფრების რაოდენობა გაიზარდა 102 ერთეულით.

ღონისძიება 3

არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით

2019 წლის I კვარტალში

არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ქ.ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ ჩაატარა რამდენიმე საჯარო პრეზენტაცია- წარდგენა რითაც მოიზიდა მნიშვნელოვანი მასალები.

პროგრამა 3.2. ბათუმის კულტურის ცენტრის განვითარება

პროგრამის მიზანი კულტურის ცენტრის განვითარების ხელშეწყობა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი რეგულარულად ხორციელდება კულტურის პროექტები, ვითარდება ბათუმის კულტურის ცენტრი.

ღონისძიებები: შესრულების ინდიკატორი შესრულება

ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განვითარების გეგმის შემუშავება	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განვითარების გეგმა	✓
--	--	---

მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება	ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ღონისძიებებზე დამსწრე პირთა რაოდენობა	✓
--	---	---

ღონისძიება 1

ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განვითარების გეგმის შემუშავება

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრმა“ შეიმუშავა განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს "კულტურის ცენტრის 2019-2021 წლების განვითარების სამოქმედო გეგმას.

ღონისძიება 2

მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაეწია და ჩატარდა შემდეგი კულტურულ ღონისძიებები:

საახალწლო ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ევროპის მოედანზე ყოველდღიურად ტარდებოდა კონცერტები , პროგრამა მოიცავდა როგორც საბავშვო ღონისძიებებს, აგრეთვე ბათუმელი ბენდების და ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტებს. პროექტის ფარგლებში განხორციელდა აქტივობა „ახალი წელი შენს ეზოში".

23 მარტს კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით აღინიშნა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღე;

აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სულიკო გიორგაძის დაბადების 80 წლისთავის ხსოვნის საღამოზე გაიმართა ქალთა კამერული გუნდის კონცერტი;

ავღანეთში დაღუპულ გმირების ხსოვნასთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება ქორეოგრაფიული, ვოკალური და ვაჟთავოკალური ანსამბლების მონაწილეობით;

საქართველოს დამსახურებული არტისტის, ქორეოგრაფის რაინდის, პოეტის, მსახიობისა და ბათუმის საპატიო მოქალაქის გივი სიხარულიძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე გაიმართა ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლა;

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეკრებაზე გაიმართა სიმებიანი კვარტეტისა და ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის მონაწილეობით კონცერტი;

ბათუმისათვის ბრძოლის 98-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე „მაზნიაშვილი - დაუმარცხებელი გენერალი“ გაიმართა სასულიერო ორკესტრის გამოსვლა;

თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა კამერული კვარტეტის კონცერტი.

სტრატეგიული მიმართულება 4 კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება

პროგრამა 4.1. კულტურაზე ხელმისაწვდომობა

პროგრამის მიზანი კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირებისა და ეთნიკური ჯგუფების ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია ხელმისაწვდომობა კულტურაზე, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირები და ეთნიკური ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ ცხოვრებაში, მათთვის ხელმისაწვდომია კულტურის ინფრასტრუქტურა და რესურსები, დაცულია კულტურული მრავალფეროვნება და უზრუნველყოფილია სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვა.

ღონისძიებები:

შესრულების ინდიკატორი

შესრულება

კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კულტურის სფეროში თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით, ღია კონკურსების ორგანიზება.

დაფინანსებული პროექტების რაოდენობა

✓

ეთნიკურ უმცირესობების ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა

ეთნიკურ უმცირესობათა მიერ ინიცირებული პროექტების რაოდენობა; პროექტებში ჩართულ ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობა

✓

დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურის მიმართულებით თანამშრომლობა

დამეგობრებული ქალაქების ჩართულობით განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა

✓

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან კულტურის მიმართულებით თანამშრომლობა

სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ჩართულობით განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა

✓

შშმ პირთა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა

შშმ პირთა მიერ ინიცირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულ შშმ პირთა რაოდენობა

✓

მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა

მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულ შშმ პირთა რაოდენობა

✓

ღონისძიება 1

კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კულტურის სფეროში თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით, ღია კონკურსების ორგანიზება.

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კულტურის სფეროში თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდა დებულება, შეიქმნა კომისია, მიმდინარეობდა განაცხადების მიღება. კომისიამ, საანგარიშო პერიოდში, განიხილა 12 ინიციატივა (პროექტი), დაფიანსებაზე კი რეკომენდაცია გაეწია 11 პროექტს, კერძოდ:

1. პროექტი „გვიანი შემოდგომის ღამე“ -

პროექტის ფარგლებში, 1 მარტს, დაიდგა პიესა „გვიანი შემოდგომის ღამე“.

პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „თავისუფალი სივრცე“;

პროექტის ბიუჯეტი - 9 905 ლარი;

2. პროექტი „თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო“ -

პროექტის ფარგლებში, 28 მარტს, ჩატარდა თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, დაჯილდოვდნენ ხელოვანები.

პროექტის ავტორი - ა(ა)იპ „აჭარის თეატრალური საზოგადოება“;

პროექტის ბიუჯეტი - 6800 ლარი;

3. პროექტი „ბათუმო ჩემო“ -

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კომპოზიტორის ვაჟა ტულუშის სიმღერაზე კლიპის გადაღება;

პროექტის ავტორი - ა(ა)იპ დოროთეა პარკელის საქველმოქმედო ფონდი;

პროექტის ბიუჯეტი - 9750 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 20 მარტი -25 აპრილი.

4. პროექტი - ბათუმის ღამის მარათონი - Tte Great Batumi Night Race“ -

მარათონის ფარგლებში ჩატარდება კონცერტი რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მუსკოსები (ზვიად ბოლქვაძე და სოფო ბათილაშვილი);

პროექტის ავტორი - შპს MARINA COLISEUM

პროექტის ბიუჯეტი - 10 000 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 20 აპრილი.

5. პროექტი ტელესერიალი „სადღაც ბათუმში“ -

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სერიალის გადაღება.

ავტორი - ა(ა)იპ „მაკრო“;

ბიუჯეტი - 10 000 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 28 მარტი - 28 აპრილი;

6. პროექტი „ლექსების გამოფენა/ასი სიტყვა“ -

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ლიტერატურული კონკურსის ორგანიზება.

ავტორი - ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი;

ბიუჯეტი - 5750 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 27 მარტი - 20 მაისი;

7. პროექტი „კოლაბორაცია 2“ -

პროექტის მიზანია ახალგაზრდა სტუდენტ-შემსრულებლების გაერთიანება და ექსპერინენტული სამემსრულებლო ჯგუფის შექმნა. ჯგუფი მოამზადებს სხვადასხვა ჟანრის რეპერტუარს. გაიმართება პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა მონაწილეებს გადაეცემა სერთიფიკატები.

ავტორი - ა(ა)იპ არტ-ალტერნატივა;

ბიუჯეტი - 5950 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 28 მარტი - 31 მაისი;

8. პროექტი „დრო ძვირფასია“ -

პროექტის ფარგლებში აუდიო და ვიდეო ფაილებში ჩაიწერება 10 ქართველი მწერლის ან პოეტის, ლექსი ან ნაწყვეტი ნაწარმოებიდან, ასევე ამ ან სხვა რომელიმე ნაწარმოებების განხილვა და საინტერესო ფაქტები ამ ავტორების ცხოვრებიდან. სულ დამზადდება 30 აუდიო და ვიდეო ფაილი.

ავტორი - შპს „საჯარო და კერძო ადმინისტრირების კვლევის და მონიტორინგის ცენტრი“

ბიუჯეტი - 4932 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 1 აპრილი - 1 აგვისტო;

9. პროექტი „ვეფხისტყაოსნის საერთაშორისო ფესტივალი“ -

პროექტის ფარგლებში, ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება „ვეფხისტყაოსნის“ საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 35 ჩვენური და სხვა წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

პროექტის ფარგლებში გაიმართება აჭარის მხატვართა გამოფენა და ქართული ფოლკლორის სადამო;

პროექტის ავტორი-ა(ა)იპ საქართველოს სკაუტური მოძრაობა აჭარის ორგანიზაცია;

პროექტის ბიუჯეტი- 4932;

პროექტის განხორციელების პერიოდი - 5 აპრილი - 8 აპრილი;

10. პროექტი „ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2019“ -

ცეკვის ფეტივალიში მონაწილეობას მიიღებს 800-1000 მდე მონაწილე. სხვადასხვა ქვეყნებიდან ფესტივალის ჩატარებასთან ერთად დაგეგმილია სასწავლო სემინარები.

ავტორი- ა(ა)იპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თანამედროვე სამეჯლისო და სპორტული ცეკვების კავშირი;

ბიუჯეტი - 6900 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 27 ივნისი - 29 ივნისი;

11. პროექტი „საერთაშორისო ფესტივალი კერამიკის ალქიმია“ -

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება სახალისო-საგანმანათლებლო/პრაქტიკული აქტივობები. დაგეგმილია ასევე, თიხის კარიერების ამოქმედება და იქ ტურისტებზე მასტერკლასების ჩატარება.

ავტორი- ა(ა)იპ სოციალური საწარმო „ანდამატი“;

ბიუჯეტი - 8968 ლარი;

განხორციელების პერიოდი - 27 აგვისტო - 7 სექტემბერი.

ღონისძიება 2

ეთნიკურ უმცირესობების ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

პირველ კვარტალში მხარდაჭერილი იქნა ეთნიკური უმცირესობების შემდეგი ინიციატივები:

სომხური დიასპორა: სურბ სარგისის დღესასწაული", ასევე შეხვედრა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;

აზერბაიჯანული დიასპორა: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა;

უკრაინული დიასპორა: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო და ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ბერძნულა დიასპორა: აღნიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

გერმანული დიასპორა: ქალთა დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა.

რაც შეეხება რუსულ, ებრაულ, თურქულ და იეზიდურ დიასპორების მიერ ინიცირებულ აქტივობებს - მათი განხორციელება იგეგმება შემდეგ კვარტლებში.

ღონისძიება 3

დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურის მიმართულებით თანამშრომლობა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურის მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით, „ბათუმობის“ დღესასწაულის აღსანიშნავად, მოწვეული იქნა ქალაქ ბათუმთან დამეგობრებული 33 ქალაქი. მათგან თანხმობა განაცხადა 11-მა დამეგობრებულმა ქალაქმა, მათ შორის არის: ქ. ხერსონი; ქ. კუშადასი; ქ. შარმ ელ-შეიხი; ქ. უმანი; ქ. მოგილიოვი; ქ. მიკოლაევი; ქ. ვანაძორი; ქ. ნეთანია; ქ. დაუგავილსი; ქ. ნახიჩევანი და ქ. ნისა.

ღონისძიება 4

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან კულტურის მიმართულებით თანამშრომლობა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მამუბათი ყველა მუნიციპალიტეტთან. ამ მხრივ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისათვის გადაგზავნილი იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი. აგრეთვე, მუნიციპალიტეტებთან სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, გამოთხოვნილი იქნა მათგან კულტურის მიმართულებით არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ ინფორმაცია.

ღონისძიება 5

შშმ პირთა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში შშმ პირებს არ მიუღიათ მონაწილეობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

ღონისძიება 6

მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა

2019 წლის I კვარტალში

საანგარიშო პერიოდში შშმ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში.